ტყუპი თოფურიას წრიდე ფონდი

96 ~~238~~ 237

ფონდი / Фонд 287 ... 1 ... 237

ფონდი / Фонд 287 ... опись 1 ... ед. хр 237

დასკანერებულია 16.01.2025 01

მუდმივად შესანახი
[illegible] ...го хр...

19

პირველი შედეგები

ერთი წელიწადია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ფრიად აუცილებელი კათედრა — ქართული ენა-ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრა. მართალია, იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მიღებამდე დაარსდა, მაგრამ თავისი საქმიანობით სწორედ რომ პრაქტიკულად ასრულებს და ახორციელებს ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს.

კათედრამ (გამგე — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი აკ. თოფურია) თავიდანვე ფართო პერსპექტივა დაისახა: მასზეა დაქვემდებარებული ქართული ენა-ლიტერატურის სწავლების სათანადო დონეზე დაყენება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე. ამ მიზნით გასულ წელს მან გამოსცა ქართული ენა-ლიტერატურის პროგრამა მოსამზადებელი კურსებისათვის. კათედრამ იმთავითვე ჩამოაყალიბა მუდმივმოქმედი სემინარი თბილისის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელთათვის, რომელმაც მუშაობა დაიწყო გასული წლის ოქტომბრის თვიდან კათედრის დამაარსებლის პროფ. აკ. თოფურიას ხელმძღვანელობით და ტარდებოდა ყოველი თვის ბოლო სამშაბათს.

სემინარულ მეცადინეობებზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: აკ. თოფურია („ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგიერთი პრობლემა“), ივ. ქავთარაძე („ქართული ენის სწავლების აქტუალური საკითხები“), ანტ. კიზირია („სინტაქსური ურთიერთობის სახეები და მისი სწავლების საკითხები მე-7 და მე-8 კლასებში“); დოცენტები: ოთ. გაჩეჩილაძე („ზმნის გვარი და მისი სწავლება მე-6 კლასში“), თ. კიკაჩეიშვილი („კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ზოგიერთი მხატვრული თავისებურება“).

სემინარულ მეცადინეობებზე ჩინებული მოხსენებებით გამოვიდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები: დედაქალაქის 124-ე და 54-ე საშუალო სკოლების პედაგოგები ი. მაცაბერიძე და ნ. ბოცვაძე („დიდი მოცულობის მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტზე მუშაობა IX-X კლასებში“); 87-ე საშუალო სკოლის ენა-ლიტერატურის მასწავლებელი მ. ყირმელაშვილი („კონსტანტინე არსაკიძისა და ფარსმან სპარსის შედარებითი დახასიათება“). კამათში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ალ. ღლონტი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ა. გადელია; მასწავლებლები: გ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ზ. ცინცაძე, ზ. ჩეჩელაშვილი, ნ. რუხაძე და სხვები.

ჩატარდა ხუთი მეცადინეობა, რითაც სემინარმა ერთი წლის მუშაობა დაამთავრა.

მ. როხაძე.

რედაქტორი
ნ. შველიძე.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათსა და პარასკევს.

[illegible] [illegible], 1979, 23 [illegible], № 41

[illegible] დავალებათა შესრულებას!
მოწინავე გამოცდილება ჩვენი სიმდიდრეა.
მომჭირნეობა საყოველთაო კანონია.
ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლაში არც ერთი ჩამორჩენილი არ უნდა გვყავდეს!
ღირსეულად შევხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.
ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!
მეათე ხუთწლედს — დამკვრელური ფინიში!

თვითგანათლება იდეო

თანამედროვე საბჭოთა პედაგოგი, მასწავლებელი, ალმაზრდელი წარმოუდგენელია მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის გარეშე. ახალი ადამიანის ალზრდის გაზრდილი ამოცანები, მოითხოვენ თვით მასწავლებლის პიროვნების შეცვლასაც, მის მუდმივ ზრდას, პირველყოვლისა, თვითგანათლებისა და თვითალზრდის გზით. ეს გზა მასწავლებლის შეგნებული და აქტიური მუშაობის უმთავრესი პირობაა. „ასიათასობით მასწავლებელი ეს არის აპარატი, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც უნდა ამოძრავებდეს საქმეს, აფხიზლებდეს აზრს, ებრძოდეს ცრურწმენებს“... დღესაც, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გააფთრებული იერიშის ობიექტი კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდა თაობაა. თანამედროვე ახალგაზრდობას, რომელსაც ბუნებრივია, არა აქვს რევოლუციური ბრძოლების გამოცდილება, არა აქვს რევოლუციური მონაპოვრის ჯეროვნად შეფასების უნარი, არ იცნობს კლასობრივი მტრის ათასნაირ ილეთებს, შეუძლია შეფერხდეს, იდეური წრთობის მიუღებლად წაიბორძიკოს და დროებით დაკარგოს სწორი პოლიტიკური ორიენტაცია. ამ მხრივ განუზომლად დიდია მასწავლებლისა და ალმზრდელის როლი, რომელმაც, პირველ რიგში, უნდა დაიცვას მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჟუაზიული გადმონაშთებისაგან, მავნე ტრადიციებისა და ტენდენციების ზეგავლენისაგან. თვით მოსწავლე ახალგაზრდობაში უნდა ჩავნეროთ მებრძოლი, შეურიგებელი დამოკიდებულება ნეგატიური მოვლენებისა და სოციალისტური თანაცხოვრების ჩრდილოვანი მხარეებისადმი. მებრძოლის ნიმუშს კი თვით პედაგოგი უნდა წარმოადგენდეს, როგორც იერ-სახით, ისე პრაქტიკული მოქმედებითა და საქმიანობით, ქცევით, ეთიკურ-ესთეტიკური კულტურით: „კომუნისტური ალზრდის საქმეს, — ისევე როგორც მთელ თავის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობას, — განაცხადა სკკპ XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აგებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე საფუძველზე. მარქსიზმ-ლენინიზმი — ეს არის ერთადერთი საიმედო საფუძველი სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის. იგი გვაძლევს ისტორიული პერსპექტივის გაგებას, გვეხმარება მრავალი წლით ადრე განვსაზღვროთ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიმართულება, სწორად გავერკვეთ საერთაშორისო მოვლენებში. მარქსიზმ-ლენინიზმის ძალაა მუდმივი შემოქმედებითი განვითარება“. მხოლოდ იდეურ-პოლიტიკური ცოდნით შეიარაღებული [illegible] დაგოგი შეძლებს [illegible]